დიდი გადაშენების შესახებ ცარც-პალეოგენის საზღვარზე

დავით ბერულავა, ავთო ბუსხრიკიძე

dato.berulava038@ens.tsu.edu.ge

avto.buskhrikidze396@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნივერსიტეტის ქ.13, თბილისი, საქართველო, 0186

მოხსენება შეეხება მასობრივ გადაშენებას ცარც-პალეოგენის საზღვარზე, რომელიც დაახლოებით 66 მილიონი წლის წინ მოხდა და გამოიწვია ბიოსფეროს გლობალური რეკონსტრუქცია. გაანალიზებულია ძირითადი ჰიპოთეზები, მათ შორის ასტეროიდის ზემოქმედება (ჩიქსულუბის კრატერი) და დეკანის ტრაპის ინტენსიური ვულკანიზმი, ასევე დამატებითი ფაქტორები: ზღვის დონის ვარდნა, კლიმატური რყევები, ატმოსფერული ცვლილებები, ანოქსიური პირობები და ბიოლოგიური ჯაჭვის დარღვევა. მოხსენება ეყრდნობა სტრატიგრაფიულ, პალეობიოლოგიურ და გეოქიმიურ მონაცემებს. წარმოდგენილია თანამედროვე ინტერპრეტაციები გადაშენების მექანიზმებზე, ეკოსისტემური კოლაფსის მიმდინარეობაზე და იმ პირობებზე, რომლებმაც საფუძველი დაუდო კაინოზოური ერის ჩამოყალიბებას. მოხსენებაში ასახულია მრავალფაქტორული მოდელის უპირატესობა, მასობრივი გადაშენების გააზრებისას ცარც-პალეოგენის საზღვარზე.